1. **დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ზოგადი საფუძვლები**

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიზლება წარმოიშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხრივ კი , იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებიან ვალდებულებით ურთიერთობაში. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომაერობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს. სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების , კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. „არასახელშეკრულებოდ“ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში, იგი წარმოიშობა უშუალოდ სამართალდარღვევიდან, ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. ცნების ლეგალური დეფინიციიდან უნდა გმაოიყოს წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც ხდება ზიანის ანაზღაურება. **მართლწინააღმდეგობა, ქმედება, განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, ზიანი, ბრალი , მიზეზობრივი კავშირი.** დაზარალებულად გევლინება კრედიტორი, ხოლო ზიანის მიმყენებლი - მოვალეა. კრედიტორი შეიძლება იყოს ყოველ იფიზიკური და იურიდიული პირი , მოვალე კი მოხოლოდ დელიქტუნარიანი პირი, ე.ი. პირი რომელიც პასუხს აგებს თავისი ქმედებისათვის. დელიქტის დროს, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარაებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან. ზიანი შეიზლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. იგი მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში , თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. უმოქმედობა გამოხატული არასათანადო აღზრდაში ან ზედამხედველობის განუხორციელებლობა ვალდებული პირის მიერ . პრის ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. თუ არ არსებობს ზიანი არ არსებობს დელიქტური ვალდებულება, თუ ზიანი მიყენებულია მართლზომიერი მოქმედებით იგი არ ანაზღაურდება(აუცილებელი მოგერიების ფარგლები) , გვაქვს გამონაკლისი შემთხვევა როდესაც ზიანის ანაზღაურების საკითხი მაინც დგება მიუხედევად აუცილებელი უკიდურესობისა, (თუ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით, და თუ მიყენებული ზიანი აცდენილძე ნაკლებ მნიშვნელოვანია, ზიანი უნდა აანაზღაუროს მიმყენებლმა, სსკ 117მუხ.)

ზიანის მიმყენებლისას პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ბრალის არსებობა.

ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომელიც შეიძლება დაიყოს უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობად. განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას.

2. არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელსაც თავისი მოქმედებით შეუძლია შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები, იკისროს სამოქალაქო მოვალეობების შესრულება და პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედების შედეგებისათვის. კანონით დადგენილია, რომ პირი ქმედუნარიანობას იძენს 18 წლის მიღწევის მომენტიდან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (ქორწინება, ემანსიპაცია).
ათი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწოვანი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებლებას კანონი მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს აკისრებს, როგორებიც შეიძლება იყვნენ მეურვე, მზრუნველი, სასწავლო , სამკურნალო, აღმზრდელობითი დაწესებულებები და სხვა, რომლებიც ვალდებილნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ბავშვებს. მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები დამოუკიდებლადა აგებენ პასუხს, მხოლოდ იმ ზიანისთვის რობელიც ათ წელს მიუღწეველმა პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენა.მშობლებისა და მეურვის პასუხისმგებლობა უფრო ფართოა და პასუხს აგებენ ბავშვის ცუდად აღზრდისათვის, რომელსაც შემდგომშიბავშვის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოყვა . მიხუედავად იმისა ცხოვრობენ თუარა ერთად მშობლები პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მშობელს. ისინი პასუხს აგებენ თანაბარი წილობრივი მონაწილეობის პრინციპით. მშობელი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ მეორე მშობლის ბრალით იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. მშობელი, რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა აღარ მონაწილეობს შვილის აღზდაში, ამიტომ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მეთვალყურეობაზე სხვა პირების ბრალი კი გამოიხატება ზიანის მიყენების მომენტში ბავშვისათვის ზედამხედველობის გაწევის მიუღწევლობაში. ასევე შესაძლებელია თანაპასუხისმგებლობა კანონიერი წარმომადგენლისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირისა. მშობლის ან მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირების პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.
ათ წელზე მეტი ასაკის მაგრამ არასრულწოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, თუმცა გასათვალისწინებელია ამ პირის ქონებრივი მდგომარეობა, აქვს თუარა მას საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც, მასაშადამე, ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწოვანი პირებისათვის დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა. კანონიერი

წარმომადგენლების დამატებითი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებაში. დამატებითი პასუხისმგებლობა შეწყდება ზიანის მიმყენებლის სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან, ასევე მაშინ თუ არასრულწოვანს სრულწლოვანების ასაკამდე გაუჩნდება ქონება,რომელიც საკმარისია ზიანის ასანზღაურებლად.

ქორწინებისა და ემანსიპაციის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მიმყენებელ პირს.

3. ჯამრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ადამიანი სხეულისა და სულის ჰარმონიული ერთობაა. შესაბამისად, პიროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად ორივე სფერო საჭიროებს დაცვას. ჯამრთელობის ხელყოფისათვის პასუხი უნდა აგოს იმ პირმა, რომლის მოქმედება მიმართულია როგორც სულის, ისე სხეულის ხელყოფისაკენ. რასაც მოჰყვება ფსიქოლოგიური ტრამვა, ნერვოზი და ასე შემდეგ. სიცოცხლის, სხეულის და ჯამრთელობის ხელყოფა შეიძლება იყოს კანონდარღვევა, თუ კანონით დადგენილი წესით არ დაიშვება სხვისი სიცოცხლის, სხეულისა და ჯამრთელობის შელახვა. სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, ამ სიკეთეების ხელყოფა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ფაქტობრივად, სხვისი განზრახ მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოდა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივად დასჯადიც იყოს. ამიტომ, თუ გამოიკვეთა რომ ზიანი დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს, მაშინ შესაძლებელია სანქციათა კუმულაციური გამოყენება. სხეულის დაზიანება არის ჯამრთელობისათვის ზიანის მიყენება, თუმცა არსებობს ისეთი ტიპის ხელყოფაც, რომელიც არაა სხეულის დაზიანება, მაგალითად სულიერი ზიანი. ამ განსხვავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჯამრთელობის ხელყოფიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა სხეულის დაზიანების შედეგად. ზოგადად ადამიანის ჯამრთელობა დაცულ სფეროს წარმოადგენს მისი დაბადების მომენტიდან. შესაბამისად, შესაძლებელია ემბრიონის სიცოცხლის ხელყოფა, როდესაც ის დედის საშვილოსნოშია. ასევე სამედიცინო მკურნალობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხეულსა და ჯამრთელობას, რამდენადაც ილახება სხეულებრივი ხელშეუხებლობა. მაგალითად ბრმანაწლავის ოპერაციამ შეიძლება გამოიწვიოს ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ასევე ექიმის მიერ მიცემულმა წამალმა შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა და სხვ. ექიმის მხრიდან პაციენტის სხეულებრივი ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის თანხმობის შედეგად. ასევე რომელიმე ორგანოს გადანერგვა დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების ან გაუმჯობესების მიზნით. სხეულის დაზიანებაში მოიაზრება ფიზიკური მთლიანობის ხელყოფა. რაც შეეხება შელახვას, ის უკავშირდება სხეულის ნორმალური ფუნქციის დაქვეითებას, ტკივილს ან სხვა რადიკალურ ცვლილებას. უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე ითვლება პირად არაქონებრივ უფლებად. ჯამრთელობის უფლება აბსოლუტური უფლებაა და მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევთა თავშეკავების მოვალეობა. ჯანმრთელობის ხელყოფა განხილება

იურიდიულ ფაქტად, რომელიც წარმოშობს იურიდიულ შედეგებს. ასე რომ, ჯანმრთელობის დაზიანებისას პირს წარმოეშვება როგორც ქონებრივი ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებამოსილება.

4. **მხარდამჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით , დელიქტურ ვალდებულებთაგან საინტერესოა მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემა (995–ე მუხლი). ეს დელიქტური ვალდებულება შეიძლება ორ ნაწილად დაჯგუფდეს: ა) ზიანის ანაზღაურება, როცა მხარდაჭერის მიმღებს არ ჰყავს მხარდამჭერი დანიშნული. 2) ზიანის ანაზღაურება, როცა მხარდაჭერის მიმღებს დაენიშნა მხარდამჭერი. საკანონმდებლო ცვლილებამდე მხოლოდ სასამართლო იყო უფლებამოსილი ჭკუასუსტობისა ან სულით ავადმყოფობის ნიადაგზე ეღიარებინა პირი ქმედუუნაროდ, ხოლო ზიანის ანაზღაურბის ვალდებულება არ ეკისრებოდა ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ პირს, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სხვას მიადგა ზიანი. საკანონმდებლო ცვლილებამდე ქმედუნარიანობის ინსტიტუტი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე უკრძალავდა ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო უფლება–მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელებას. სსკ–ის 995–ე მუხლის 1–ლი ნაწილის გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპიროების ერთდროულად შესწავლა : ა) მხარდაჭერის მიმღების მიერ ზიანის მიყენება. ბ) მხარდაჭერის მიმღების მართლსაწინააღმდეგო ქმედება. გ)ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. დ) არ უნდა იყოს მხრდაჭერის მიმღებისთვის მხარდამჭერი დანიშნული. უნდა დადგეს ზიანი, რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს, თუმცა სხვა დელიქტური ვალდებულებებისგან განსხვავებით , აქ ზიანი უნა მიაყენოს მხარდაჭერის მიმღებმა. ,,მხარდაჭერის მიმღები“ პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო–სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში დაეხმარება. მხარდაჭერის მიმღები უნდა მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ და არ არსებობდეს მართლწიააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები. თუ პირს არ დაენიშნა მხარდამჭერი, ივარაუდება, რომ არ სჭირდებოდა და ზიანი უნდა აანაზღაუროს მხარდაჭერის მიმღებმა (995/1). ცალკეა მეორე შემთხვევა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ზიანი მიაყენა და დანიშნული ჰყავდა მხარდამჭერი, ამ დროს კანონით მხარდამჭერს ევალება ზიანის ანაზღაურება. თუ ამ ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მხარდამჭერის პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

5. **ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების იურიდიული შედეგები**

ზიანის მომტანი ცნობების დელიქტის თავისებურებაა ის, რომ, თუ ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა, ამ დროს დელიქვენტს უნდა

წარმოადგენდნენ პუბლიკაციის ავტორი და რედაქტორი (გაზეთის), ხოლო, თუ რედაქცია იურიდიული პირი არაა, დელიქვენტად გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი.
დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით დაცული არამატერიალური სიკეთის, პირადი ცხოვრების საიდუმლოსა და პირადი ხელშეუხებლობის დარღვევითაც. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ქვეშ კი იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირის მკაცრად განსაზღვრული წრისათვის, ანუ მისი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა საერთოდ არ შეადგენს პირის ინტერესს. პირად ცხოვრებაში კი იგულისხმება პირადი საქმიანობა, პირადი ჩანაწერი, პირადი მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები, აგრეთვე, კერძო დოკუმენტაცია.
პატივისა და ღირსების შელახვას უთანაბრდება პირის გამოსახულების გამოქვეყნება, მისი თანხმობის გარეშე. გამოსახულების ქვეშ კი გულისხმობენ მხატვრულ პორტრეტს, ინდივიდის გამოსახულებას კინოფილმში, ტელეგადაცემაში, სადაც მისი გარეგნული იერის მიხედვით შესაძლებელი იქნება მისი შეცნობა. ამდენად, საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტია ინდივიდის პიროვნული თავისუფლება და არა ის საგანი, რაზეც ისაა გამოსახული. ხსენებულ მუხლშივე: საკუთარი გამოსახულების დაბეჭდვა-გამოქვეყნება, პირის თანხმობის გარეშე, არ იწვევს დელიქტურ ვალდებულებას, თუ ეს დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ საქმიანობასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამედიცინო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტო-ვიდეო გადაღება მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური (ფოტომოდელი).
აღსანიშნავია ინდივიდის საზოგადოებრივი აღიარების შედეგად მისი გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერების საკითხი, რომელიც ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესთა რთულ კოლიზიას წარმოადგენს. ასე მაგალითად, როცა პირს ირჩევენ პრეზიდენტად ან ნიშნავენ მინისტრად, ცხადია, მისი სურათის გამოქვეყნებისას მას არავინ ეკითხება ამის შესახებ, რადგან ეს მისი საზოგადოებრივი აღიარებითაა გამოწვეული. 993-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტურ ვალდებულებათა წარმოშობის საფუძვლად ჩაითვლება შემდეგი გარემოებები:
1. თუ გავრცელებული ან გახმაურებული ცნობები აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს;

2. თუ ქონებრივი ზიანის მიყენება გამოწვეულია იმ ცნობების გავრცელებით ან გახმაურებით, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდათ;

3. თუ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დელიქვენტის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ხოლო ქონებრივი ზიანი უნდა იყოს შედეგი პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევისა;

4. დელიქვენტი უნდა მოქმედებდეს ბრალის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით. იგი მიზნად უნდა ისახავდეს უფლების მატარებელი პირის კომპრომეტაციას ან მისი პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვას.

6. **სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

სატრანსპორტო საშუალების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა , თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი , ისე იურიდიული , პირი რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. თავის მხრივ, პირი რომელმაც ზიანი აუნაზღაურა დაზარალებულს, უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე წაუყენოს ზიანის ანაზღაურების შესახებ გამქირავებელს, თუ მას ბრალი მიუძღვის. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე. მნიშვნელობა არ აქვს ასევე რა დროს დადგა ზიანი , სამსახურეობირივი მოვალეობის შესრულების დროს თუ პირადი მიზნების გამოყენებისათვის.სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურების ვადლებულების გამომრიცხველი გარემოებებია :
1) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავს ტვირთი თან მიაქვს.
2) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ტვირთი
3) ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც , როცა მიზანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. იგი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება მხოლოდ მაშინ თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესს გააჩნია გამონაკლისიც. იგი ეხება ზიანის მიყენების შემთხვევებს მომეტებული საფრთხის წყაროთა ურთიერთმოქმედებისას. სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებისას თუ დაზარალებულად გამოდის მესამე პირი, პასუხისმგებლობა ეკისრება შეჯახებული ტრანსპორტის მფლობელებს სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით.

7. **მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ პირებს, რომლებმას დაზარალებულის გარდაცვალებით დაკარგეს მარჩენალი.ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენა დაზარალებულს ევალებოდა. აღნიშნულ პირთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში და ასეთებად მიიჩნევიან: დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვალების მომენტისათვის იმყოფებოდნენ გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე ანდა ჰქონდათ მისგან სარჩოს მიღების უფლება. ბავშვი, რომელიც დაიბადა დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომ. ერთ–ერთი მშობელი, მეუღლე ან ოჯახუს სხვა წევრი, რომელიც არ მუშაობს, გარდაცვლილის შვლიშვილები, და–ძმები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანების ასაკს, ან არიან სრულწლოვანები და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მოვლას. ასევე შრომისუუნაროდ მიიჩნევა საპენსიო ასაკს მიღწეული პირი. ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის)იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახთ მარჩენალის სიცოცხლეში. ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. თუ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი არ იმყოფება დაზარალებულის კმაყოფაზე,მაგრამ სისტემატურად იღებდა მკაცრად განსაზღვრულ ფულად თანხას, ასეთ პირს დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომაც მიეცემა ეს თანხა. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოებს ყოველთვიურად. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, ზიანის მიმყენებლის შესაძლებლობებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ზიანის მიმყენებელს ერთჯერადი ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის შემდეგ, ანუ ზიანის ანაზღაურების ხანდაზმუობის ვადის გასვლამდე. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში,ქონებრივი ზიანის კონმპენსაციასთან ერთად, დაზარალებული უფლებამოსილია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

8. სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძვლები

ზიანი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე ერთობლივად მოქმედი ორი ან რამდენიმე მოქმედების შედეგი. ზიანი წარმოიშობა მიმყენებლთა როგორც გაუფრთხილებლობით ისე განზრახი მოქმედების შედეგად. ზიანი რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ერთობლივად მოქმედ ზიანის მიმყენებელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან, ითვლება ერთობლივად მიყენებულ ზიანად. არ არის სავალდებულო, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ერთდროულად, ან მოქმედებდნენ შეთანხმების საფუძველძე და თითოეულმა მათგანმა იცოდეს სხვა პირის მოქმედების შესახებ. არსებობს შემთხვევები როდესაც ზიანის დადგომაში მონაწილე პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა და სულ სხვა პირები აგებენ ამაზე პასუხს, მაგალითად გადამზიდი

ხომალდების შეჯახებისას მგზავრებს ზიანს უნაზღაურებს ის პირები რომლებთანაც მგზავრები ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებულნი.

თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწიელობს მაშინ ისინი დაზარალებული წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. პირთა მიერ ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი იმით აისახება, რომ მათ მიერ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედებანი განუყოფელია.

ერთობლივად მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლომა ეკისრება ყველა იმ პირს რომელიც მონაწილეობდა ზიანის დადგომაში. დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანოს ანაზღაურება ნებისმიერი ზიანის მიმყენებლისგან ნაწილობრივ ან მთლიანად. არასრულწლოვნობის შემთხვევაში მათ მშობლებსა და მზრუნველებს შორის ნაწილდება პასუხისმგებლობა. კანონი ითვალისწინებს იმ პირის პასუხისმგებლობასაც რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა ზიანის მიყენებაში თუმცა იყო ხელშემწყობი ან მან დაიყოლია ამსრულებელი. ზიანის მიმყენებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება წილთა თანაფარდობის პრინციპის საფუძველზე თუმცა იგი ყოველთვის არ ხორციელდება. ამ დროს მხედველობაში მიიღება ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი. თუ თითოეულის ბრალი თანაბარია, პასუხისმგებლობა დგება წილთა თანაფარდობის მიხედვით.